პოლიტიკური კლიენტალიზმის გავლენა ევროპულ ინტეგრაციაზე: საქართველოსა და მოლდოვის შემთხვევათა ანალიზი*

დავით თოთაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე, პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზარინა ბურკაძე, დოქტორი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

---

* რუსეთის ფედერაციის მხრიდან, უკრაინის წინააღმდეგ მიმართული სამხედრო აგრესიის გამო, უკრაინის შემთხვევის განხილვა, ამ ეტაპზე, რელევანტურად არ მიიჩნევა.

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

დავით თოთაძე

2022 წელი

აბსტრაქტი

საქართველოსა და მოლდოვაში, როგორც პოსტ-საბჭოთა, გარდამავალი დემოკრატიის მქონე სახელმწიფოებში, პოლიტიკური კლიენტალიზმის კვლევა მდიდარი და შეუსწავლელი სფეროა. პოლიტიკური კლიენტალიზმი, ანუ პოლიტიკური პარტიების მიერ საარჩევნო ხმების მისაღებად ამომრჩეველთათვის მატერიალური ანდა არამატერიალური სარგებლის შეთავაზება-დაპირება, არამდგრადი დემოკრატიის ერთ-ერთი მკაფიო მახასიათებელია. საკუთრივ, პოლიტიკური პარტიები არაერთგვაროვანი ბუნებით ხასიათდებიან. შესაბამისად, მათი მხრიდან კლიენტალიზმის გამოყენებაც, შესაძლოა, განსხვავებული მიზეზებით (მაგ. საქმიანობის ხარისხი, შემოსავლის წყარო, ტერიტორიული დაფარვა) აიხსნებოდეს. კლიენტალისტური პრაქტიკის თითოეული შემთხვევა განსხვავდება ქვეყნის მიხედვით, რადგან ამ მოვლენის შემთხვევაში საკმაოდ დიდ როლს კულტურული თავისებურებები თამაშობენ. 2022 წლის 24 თებერვალს, რუსეთის ფედერაციამ უკრაინის წინააღმდეგ სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესია წამოიწყო და ამით „ასოცირებული ტრიოს“ ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესი დააჩქარა. შესაბამისად, ევროპული ინტეგრაციის, კერძოდ კი ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოების, საკითხი აკადემიურ სივრცეშიც აქტუალური გახდა. გამოყენებული, შემთხვევათა შედარებითი ანალიზი მიზნად ისახავს, საქართველოსა და მოლდოვის მაგალითზე, გაანალიზოს პოლიტიკური კლიენტალიზმის გავლენა ევროპულ ინტეგრაციაზე. მონაცემების მისაღებად გამოყენებული ექსპერტთა გამოკითხვა მიმდინარე წლის ივლისი-ივნისის თვეში ჩატარდა. საქართველოში მონაცემები მოგროვდა 7 პოლიტიკურ საპარლამენტო პარტიაზე, ხოლო მოლდოვაში - 4-ზე.

ძირითადი საძიებო სიტყვები: პოლიტიკური კლიენტალიზმი, ევროპული ინტეგრაცია, საქართველო, მოლდოვა.

Abstract

In Georgia and Moldova, as in post-Soviet, transitional democracies, the study of political clientelism is a rich and unexplored field. Political clientelism, that is, the offering of tangible or intangible benefits to voters in order for political parties to receive electoral votes, is one of the hallmarks of an unsustainable democracy. In particular, political parties are heterogeneous in nature. Consequently, their use of clientelism may be explained by different reasons (eg quality of performance, source of income, territorial coverage). Each case of clientelistic practice differs from country to country, as cultural peculiarities play a rather large role in this event. On February 24, 2022, the Russian Federation launched a full-scale military aggression against Ukraine, thus accelerating the process of integration of the "Associated Trio" into the European Union. Consequently, the issue of European integration, in particular the enlargement of the European Union to the east, has become topical in the academic space as well. To study the impact of political clientelism on European integration, a comparative case study is used on the example of Georgia and Moldova. The experts survey used to obtain the data was conducted in July-June this year. In Georgia, data were collected on 7 parliamentary political parties, and in Moldova - on 4.

Key Words: Political Clientelism, European Integration, Georgia, Moldova.